განკარგულება:**g-81. 8122306001**
თარიღი:**02/11/2022**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №63

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სოფ. ორბელში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული ადმინისტრაციული შენობის (ს/კ 89.04.25.107, შენობის წინა ს/კ 89.04.12.367) პირველი სართულის ნაწილის - 52.00 კვ.მ. ფართის კომერციული საქმიანობისათვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით - იჯარით გადაცემის შესახებ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 54-ე მუხლის პირველი პუნქტის დ.დ ქვეპუნქტის, 61-მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 36-ე მუხლის და ი/მ ,,ომარი დოღონაძის"(პ/ნ 60001044858; უძრავის ქონების შემფასებელი, სერთიფიკატი Na-0827) უძრავი ქონების საწყისი საიჯარო ქირის ღირებულების შეფასების შესახებ 2022 წლის 24 ოქტომბრის №39 დასკვნის საფუძველზე,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. თანხმობა მიეცეს, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სოფ. ორბელში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული ადმინისტრაციული შენობის (ს/კ 89.04.25.107, შენობის წინა ს/კ 89.04.12.367) პირველი სართულის ნაწილის - 52.00 კვ.მ. ფართის კომერციული საქმიანობისათვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით-იჯარით გადაცემაზე.

2. წლიური საიჯარო ქირის საფასური განისაზღვროს: ერთი წლის საიჯარო ქირა - 1000 (ათასი) ლარი, ერთი თვის საიჯარო ქირა - 84 ლარის ოდენობით.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი რუსთაველის ქ.№69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. N65, ტელ: +995 551179741
ელ.ფოსტა: tsagerissakrebulo@gmail.com